

პარანოია და სოციალური ქცევის ასპექტები

ნინო იაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის გამოყენებითი ფსიქოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

*სკოლის ფსიქოლოგი, ფსიქოლოგ-კონსულტანტი, ინკლუზიური განათლების
სპეციალისტი*

მიმართულება: სკოლის ფსიქოლოგი, ფსიქოლოგ-კონსულტანტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სიმონ სურგულაძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო იაშვილი 10.02.2014

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი იკვლევს ჯანმრთელ პოპულაციაში პარანოიის მაჩვენებელსა და სოციალურ ადაპტაციას.

ნაშრომში შევეცდები წარმოვადგინო ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები და მათი ანალიზი.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა იმ სოციალურ-კოგნიტური ნიშნების გამოვლენა, რომლებიც დაკავშირებულია ხასიათობრივ თვისებებთან და ზეგავლენას ახდენენ სოციალურ ურთიერთობებზე.

კვლევაში გამოყენებულია რაოდენობრივი მეთოდები, რომლებიც საჭირო მონაცემების მოპოვების საიმედო ტექნიკას წარმოადგენენ. ამასთან, რაოდენობრივი კვლევა ობიექტური რეალობის წვდომის უკეთეს შესაძლებლობებს იძლევა. ჩვენი კვლევა იყო საპილოტე.

სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილი კვლევა ფოკუსირებულია პარანოიაზე, მის თვისებებზე, თუ რა გავლენას ახდენს პარანოიაზე სხვადასხვა ფაქტორი ჯანმრთელ პოპულაციაში.

კვლევის საწყის ეტაპზე, გამოვრიცხეთ ფსიქიკური დაავადებები, ნარკომანია და გონებრივი ჩამორჩენილობა, ვინაიდან ჩვენს ცდისპირებს წარმოდაგენდნენ მხოლოდ და მხოლოდ ფსიქიკურად ჯანმრთელი პირები. ჩვენ გამოვიყენეთ კითხვარები, ორი ექსპერიმენტი და მიღებული შედეგები შევადარეთ ერთმანეთს.

ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, ჩვენ მიერ შერჩეული საზომის ვალიდურობა ქართულ პოპულაციაში. გამოვყავით ორი ქვეჯგუფი: პარანოიის დაბალმაჩვენებლიანი ქვეჯგუფი და პარანოიის მაღალმაჩვენებლიანი ქვეჯგუფი და შევადარეთ ისინი ლონდონის უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევის შედეგებს. ამდენად, მივედით იმ დასკვნამდე, რომ ჩვენს კვლევაში არსებული სეგმენტაცია რელევანტურია.

შევისწავლეთ პარანოიის კორელაცია აუტიზმთან, შფოთვისთან, ემპათიასთან და სტრესზე რეაგირების ტიპებთან. აღმოჩნდა, რომ პარანოია დადებით კორელაციაშია სტრესზე რეაგირების დეზადაპტაციურ ტიპებთან და აუტიზმთან, ხოლო ნეგატიურ კორელაციაშია ემპათიასთან.

რაც შეეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტებს, მათ არ გამოავლინეს რაიმე სპეციფიკური ტენდენცია პარანოიის მაღალი ქულის მატარებელ პირებში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პარანოია, სტრესზე რეაგირების ტიპები, შფოთვა, აუტიზმი, ემპათია.

Abstract

Master's thesis explores the indicator of paranoia in healthy people and social adaptation. In this paper, i will try to present the results of conducted researches by us and their analysis.

The research aimed to reveal those social-cognitive signs relating to character, what impact on social relations.

Quantitative used methods in research present reliable techniques required for data extraction. In addition, the quantitative research has got better opportunities of accessing the objective reality. It was our pilot research.

This research focuses on paranoia, his properties and what different factors in healthy population effect on it.

On the first stage of research, we excluded the mental illnesses, drug addiction and mental retardation, because our test persons were only the mentally healthy individuals. We used questionnaires, two experiments and obtained results compared with each other.

Conducted research revealed the measure of validity in the Georgian population, what had been selected by us. We separated two subgroups: The low and high indicator subgroups of paranoia and we compared it to the research results conducted at the University of London. Thus, we concluded that the current segmentation in our research is relevant.

We studied the correlation of paranoia with autism, anxiety, empathy and the types of stress reaction. It turned out that the paranoia is in positive correlation with the persons of having no adaptation on stress reaction and autism but it is negatively correlated with empathy.

As for our experiments, they didn't reveal any specific tendency in individuals of having high scores of paranoia.

Basic search words: paranoia, types' reaction on stress, anxiety, autism, empathy.

მადლობა

მადლობას ვუხდის საკვლევო თემის ხელმძღვანელს, - ბ.ნ. სიმონ სურგულაძეს, მის ასისტენტს - ბ.ნ. გიორგი ჩიქოვანს, რომლებმაც სწორი მიმართულება მომცეს ნაშრომის წერის დროს.

ასევე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მაგისტრანტებს თამარ გვალიასა და ლაშა ბაბუაძეს, რომლებთან ერთადაც ჩავატარე კვლევის პრაქტიკული ნაწილი, და ჩემს კვლევაში მონაწილე ცდისპირებს, რომლებმაც დიდი მონდომება და მოთმინება გამოიჩინეს, რამეთუ, თითოეული მათგანთან სრული კვლევის ჩატარების დრო 2-დან 4 საათამდე მერყეობდა და საკმაოდ დიდ ენერგიას საჭიროებდა.

აუცილებლად მინდა აღვნიშნო ოჯახის წევრები, ჩემი და – მარიამი და დედაჩემი – ნინო, რომლებიც მუდმივად გვერდით მედგნენ და მეხმარებოდნენ ყოველმხრივ. განსაკუთრებით დამეხმარა ჩემი და, რომელმაც არაერთხელ წაიკითხა ჩემი საკვლევო თემა და ყოველ ჯერზე გულმოდგინედ უკეთებდა ტექსტს კორექტურას.